პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
3
სექტემბერი
№ 206
(16332)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია:

ყრილობისწინა შეჯიბრების ინიციატორებმა მიმართეს ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს ყრილობის გახსნამდე დარჩენილ დროში ამრავლონ თავიანთი ძალა და ენერგია, ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნან მაღალი შრომითი ენთუზიაზმის ატმოსფერო, დადგნენ დამკვრელური შრომის ვახტზე.

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

რთველი — დროზე, უდანაკარგოდ!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲓᲠᲝᲡ ᲣᲡᲬᲠᲔᲒᲔᲜ

თბილისი. პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის დავალების შესრულება უპატაჟა საშობლოს სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ კოლექტივმა.

— დავალება ამ დღეებში გავანაღდეთ, როცა მკერავები გეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ჩვენმა კოლექტივმა საყრილობო ვახტზე კარგი სტარტი აიღო, — აცნობა რედაქციას საწარმოს დირექტორმა ნ. მუსერიძემ, — 15 აგვისტოსათვის რვა თვის გეგმის გადამეტებით უკვე რეალიზებული გვქონდა 495 ათასი მანეთის ნაწარმი.

მკერავები დამკვრელური ვახტზე დგანან და იბრძვიან იმისათვის, რომ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია დაამზადონ.

რ. ჯელიძე.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ფოთი. ქალაქის მრეწველობის ფლაგმანმა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა წისქვილქარხნის კოლექტივმა დიდ შრომითს გამარჯვებას მიაღწია — ვადამდე, 23 აგვისტოსათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა.

ეს სასიხარულო ამბავი დაემთხვა იმ შრომითს აღფრთოვანებას, რომელიც საწარმოს მრავალრიცხოვან კოლექტივში გამოწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

საყრილობო შეჯიბრების დევიზით საწარმოს კოლექტივმა დამატებით ვალდებულება იკისრა — 1975 წლის გეგმა წინა ვალდებულებაზე სამი დღით ადრე — 5 დეკემბრისათვის შეასრულოს, ადრინდელი ვალდებულების ზევით გამოუშვას 80 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინოს 10 ათასი მანეთით მეტი პროდუქციის რეალიზაცია. ტექნოლოგიური პროცესების დახვეწის და საფქვავად ხორბლის უკვე მომზადების შედეგად დაზოგოს 130 ათასი მანეთი, სახელმწიფოს მისცეს 80 ათასი მანეთი ზევემითი მოგება, დაზოგოს 400 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 2,5 პროცენტით, მთლიანად ხუთწლიანი გეგმის ზევით გამოუშვას 57.500 ტონა პროდუქცია.

კ. კომახიძე,
„კომუნისტის“ კორ.

რკინიგზელთა დამკვრელური ტემპი

გაგრა. ლეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელებმა ვადამდე — ოთხი დღით ადრე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და გაგზავნის მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა. ამასთან, უზრუნველყოფილია რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობა შემადგენლობის ბრუნვის შემცდომი დაჩქარება.

(საქინფორმი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1975 წლის 3 სექტემბერი № 210 ქ. მოსკოვი

ამხანაგებო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და უფროსებო!
ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!
ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!
ამხანაგო არმიისა და ფლოტის ვეტერანებო!

დღეს ჩვენი საშობლო აღნიშნავს მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების 30 წლისთავს. საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ გამარჯვების მიღწევაში, უშუალო ინტერნაციონალური დახმარება გაუწიეს ჩინეთისა და კორეის ხალხებს განთავისუფლებაში.

შორეულ აღმოსავლეთში ბრძოლების დროს არმიისა და ფლოტის მეომრებმა გამოიჩინეს მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი, ვაჟკაცობა და მამაცობა, ღირსეულად და პირნათლად მოიხადეს თავიანთი ინტერნაციონალური ვალი. საბჭოთა ჯარებთან ერთად თავდადებით ებრძოდნენ მტერს მოძმე მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის მეომრები. მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების საერთო საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს მეორე მსოფლიო ომში ჩვენი მოკავშირე სახელმწიფოების ხალხებმა და არმიებმა, აზიის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებმა.

იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ, რაც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას მოჰყვა, ხელშემწყობი ვითარება შექმნა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის, აზიაში სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, ხელი შეუწყო ინდოჩინეთის ხალხებს წარმატებით ებრძოლათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სამხედრო-ფაშისტური დიქტატურისაგან იხსნა თვით იაპონელი ხალხი, რომელთანაც ახლა ვავითარებთ მშვიდობიან ურთიერთობას ერომანეთისათვის ხელსაყრელ საფუძველზე და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით.

იმპერიალისტურ იაპონიაზე გამარჯვების ოცდაათი წლისთავი აღინიშნება საბჭოთა ადამიანების დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. სწრაფი ტემპით ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ახალ მიჯნებს მიაღწიეს მეცნიერებამ, ტექნიკამ და კულტურამ, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ადგანან ლენინურ საგარეოპოლიტიკურ კურსს. სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული მშვიდობის პროგრამის, მომმე სოციალისტური ქვეყნების შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ძლიერდება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, კიდევ უფრო ვითარდება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ამ გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროპის უშიშროებისა და თანაშშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრება. საბჭოთა კავშირს დიდი წვლილი შეაქვს აზიის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის ბრძოლაში.

მაგრამ მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან ძალები, და უწინარეს ყოვლისა იმპერიალისტური რეაქციისა და აგრესიის ძალები, რომლებიც კვლავ ცდილობენ ძირი გამოუთხარონ საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღების პოზიტიურ პროცესებს. ეს ძალები ეწინააღმდეგებიან მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას, მოითხოვენ სამხედრო ხარჯების გაზრდას, ცდილობენ ჩაშალონ ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, სახელი გაუტეხონ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ფხიზლად ადევნებენ თვალს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მტრების ხრიკებს და ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ჯეროვან დონეზე იყოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ხალხის, კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა მეომრები ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მოძმე არმიებთან საბრძოლო თანამეგობრობით ფხიზლად დგანან სოციალიზმის დიად მონაპოვართა სადარაჯოზე.

მივესალმები და ვულოცავ არმიისა და ფლოტის პირად შემადგენლობას მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების 30 წლისთავს.

ამ თარიღის აღსანიშნავად ბრძანებს:

დღეს, 3 სექტემბერს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი საშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში ოდესაში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში ჩიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, იუჟნო-სახალინსკსა და კამჩატკის პეტროპავლოვსკში მიცემულ იქნას სალუტი ოცდაათი საარტილერიო ზალვით.

საპარადოო დიდება გმირებს, რომლებიც დაუცნენ ჩვენი სოციალისტურ საშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი,
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

2 სექტემბერს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც სვეტოგორსკში იყო ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ურჰო კალეგა კეკონენთან შეხვედრად.

(საკუთ.).

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

1 სექტემბერს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30 წლისთავს და საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის ერთთვიურის გახსნას.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1 სექტემბერს სვეტოგორსკში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის შეხვედრა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ უ. კ. კეკონენთან.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის ფართო წრის საკითხები და 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების საფუძველზე მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი.

ა. ნ. კოსიგინმა და უ. კ. კეკონენმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის სპეციალისტთა და მუშათა ერთობლივი შრომა სვეტოგორსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის პირველი რიგის, სხვა საწარმოებისა და ობიექტების რეკონსტრუქციისა და მშენებლობაში სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ნაყოფიერი ხორციშესხმის მკაფიო მაგალითია.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობის მიღწეული დონე „აშუალებას იძლევა გაფართოვდეს და გაღრმავდეს ორი ქვეყნის ხელსაყრელი ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა. მიღწეული შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კომპეტენტური ორგანიზაციები განიხილავენ გრძელვადიანი სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებს, მათ შორის ფინეთის ფირმების მონაწილეობას სსრ კავშირში კოსტომუკშის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობაში.

ა. ნ. კოსიგინმა და უ. კ. კეკონენმა ერთმანეთს „გუზიარეს აზრები ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ხაზგასმით აღნიშნეს რა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ისტორიული მნიშვნელობა, მათ გამოთქვეს რწმენა, რომ დაძაბულობის შენელების პროცესის მატერიალიზაცია, სამოლო აქტში აღნიშნული პრინციპების განხორციელება საშუალებას იძლევა, რომ ევროპაში მშვიდობა მტკიცე და ურყევი გახდეს.

საუბარმა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ს. სტეპანოვი და ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ოიკო ჰალამა. (საკუთ.).

სვეტოგორსკი (ლენინგრადის ოლქი), 1 სექტემბერი. (საკუთ. სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა საბჭოთა და ფინელი მუშაბისა და სპეციალისტების მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სვეტოგორსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებისა და მისი მეორე რიგის მშენებლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ფინეთის შეთანხმების ხელმოწერას. მიტინგში მონაწილეობდნენ ა. ნ. კოსიგინი და ურჰო კ. კეკონენი, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად მეესალმნენ.

• • •

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დღეს საუზმე გამართა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურჰო კ. კეკონენის პატივსაცემად.

საუზმის დროს ა. ნ. კოსიგინმა და უ. კ. კეკონენმა წარმოთქვეს სიტყვები.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

• • •

იმავე დღეს უ. კ. კეკონენი სვეტოგორსკიდან საშობლოში გაემგზავრა.

ᲛᲔᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ

საქართველოს მევენახეებმა წელს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი რომ პირნათლად შეასრულონ, ამისათვის საჭიროა მოიკრიფოს 425.000 ტონა ყურძენი. აქედან:

გურჯაანის რაიონში	— 80.000 ტონა
თელავის რაიონში	— 44.500 ტონა
ყვარლის რაიონში	— 29.000 ტონა
სიღნაღის რაიონში	— 24,485 ტონა
ახმეტის რაიონში	— 21.500 ტონა
საგარეჯოს რაიონში	— 18.200 ტონა
წითელწყაროს რაიონში	— 18,000 ტონა
ლაგოდეხის რაიონში	— 5,100 ტონა
მარნეულის რაიონში	— 15.140 ტონა
მცხეთის რაიონში	— 9.700 ტონა
კასპის რაიონში	— 9,350 ტონა
გოლნისის რაიონში	— 8.300 ტონა
ხაშურის რაიონში	— 5,410 ტონა
გორის რაიონში	— 4,200 ტონა
ზესტაფონის რაიონში	— 26.850 ტონა
თერჯოლის რაიონში	— 18.100 ტონა
ვანის რაიონში	— 14.500 ტონა
მაიაკოვსკის რაიონში	— 14.300 ტონა
საჩხერის რაიონში	— 5.500 ტონა
ორჯონიკიძის რაიონში	— 5.350 ტონა
წყალტუბოს რაიონში	— 4.168 ტონა
აფხაზეთის ასსრ	— 7,820 ტონა

მევენახეთა საბრძოლო მიჯნების აღებაში გარკვეული წვლილი უნდა შეიტანონ აგრეთვე ამბროლაურის, ცაგერის, გეგეჭკორის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, წალენჯიხის, სამტრედიის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მევენახეებმა.

მთელი ძალები, ყველა საშუალება უნდა მოვახმაროთ ამ დიდ პატრიოტულ ვალდებულებათა შესრულებას. ბუნების ჭირვეულობას — ხანგრძლივ გვალვას უნდა დავუპირისპიროთ შეუპოვარი, მონდომებული, თავდადებული შრომა. ყურძენი უნდა მოვკრიფოთ შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ. ეს არის ამჟამად ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, ყველა მევენახის, ყურძნის გადამმუშავებელ საწარმოთა მუშაკების საბრძოლო ამოცანაა.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი დაგვიანებული დღე, საათი ნიშნავს ტონობით დავაკლოთ სამშობლოს ყურძნის მოსავალი. აუნაზღაურებელ ვალში დავრჩეთ დიადი ხუთწლედის წინაშე.

ეს სახელისა და ღირსების საქმეა

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი კარგად მოემზადა რთველისათვის. წინანდელი გვალვის მიუხედავად ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. ბევრი შრომა დასჭირდათ მევენახეებს ბუნების სტიქიის დასამარცხებლად.

მევენახეთა ერთ-ერთმა მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც ჯოშუნისტი გიორგი ზარდიაშვილი ხელმძღვანელობს, უკვე წარმატებით შეასრულა წლიური გეგმა, მოკრიფა და ჩაბარა 252 ტონა ხარისხოვანი ყურძენი. საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 130-140 ცენტნერს მიაღწია. ეს ბრიგადა ზევით ზევით 160 ტონა ყურძენს მოკრეფს, ხოლო მეურნეობა — 1.000 ტონას.

სურათზე: ყურძნის კრეფა გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ხ. კილაძის ფოტო.

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

2 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია 31.054 ტონა ყურძენი

გურჯაანის რაიონში ერთ დღეს მოიკრიფა 3.620 ტონა ყურძენი, მთლიანად კი მოკრეფილია 19.899 ტონა.

ყვარლის რაიონში სულ მოკრეფილია 4.737 ტონა ყურძენი, **სიღნაღის** რაიონში — 3.421 ტონა, **წითელწყაროს** — 2.380 ტონა, **თელავის** — 479 ტონა, **მარნეულის** — 777 ტონა.

ლაგოდეხელმა მევენახეებმა პირველ დღეებში მოკრიფეს 66 ტონა ყურძენი, **საგარეჯოელებმა** — 57 ტონა, **მაიაკოვსკელებმა** — 107 ტონა, **თერჯოლელებმა** — 62 ტონა, **ზესტაფონელებმა** — 57 ტონა, **მცხეთელებმა** — 12 ტონა.

სულ კახეთის რაიონებში მოკრეფილია 30.039 ტონა ყურძენი, მთლიანად რესპუბლიკაში კი 31.054 ტონა.

ᲕᲘᲒᲠᲫᲕᲘᲗ 80.000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საუბარი საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველ მდივანთან შ. ეცადაშვილთან.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან წელს გურჯაანის რაიონის მევენახეები. მათ საბრძოლო ამოცანად დაისახეს **მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 80.000 ტონა ყურძენი.** წლევანდელმა უჩვეულო ამინდმა განსაკუთრებული პირობები შეუქმნა ვენახებს. სხვა წლებთან შედარებით ყურძენი ადრე შევიდა სიმწიფეში. რთველი რესპუბლიკაში პირველმა გურჯაანის რაიონმა დაიწყო, და ახლა **უკვე** მასობრივად გაჩაღდა.

თუ როგორ დაიწყო და როგორ მიმდინარეობს „რთველი-75“, ამის შესახებ პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. ეცადაშვილმა განაცხადა:

— რთველი სხვა წლებთან შედარებით 10-15 დღით ადრე დავიწყეთ. პირველ დღეებში რამდენიმე მეურნეობაში შევდექით მოსავლის აღებას შერჩევით მაგრამ რაკი ყურძენი კონდიციური აღმოჩნდა, ყველა მეურნეობაში უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო რთველმა. ახლა დღეში საშუალოდ 3.000 ტონაზე მეტ ყურძენს ბარებენ ჩვენი მევენახეები ღვინის ქარხნებს, მალე ტემპს კიდევ უფრო გავადიდებთ და დღეში 5.000 ტონაზე ავალთ.

რთველი ორგანიზებულად და მაღალი ტემპით მიმდინარეობს გურჯაანის, მუკუზნის, შრომის, კარდანახის და სხვა საბჭოთა მეურნეობებში, ჩუმლაყის, ველისციხის, ჭანდრის და სხვა კოლმეურნეობებში, რომლებიც დღეში 400 ტონაზე მეტ ყურძენს კრეფენ.

მიუხედავად წლევანდელი გვალვისა, უმეტეს საზოგადოებრივ მეურნეობებში მოსავალი კარგია. მაგალითად, ჭანდრის კოლმეურნეობაში საშუალო მოსავალი ჰექტარზე 80 ცენტნერს აჭარბებს.

ღვინის ქარხნები მომზადებული შეხვდნენ რთველს. ყურძენს შეუფერხებლად იღებენ, გაუგებრობები თავიდან აცილებულია. აღარც ტრანსპორტი ვვაკლია. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან დასახმარებლად მოსული ავტომანქანები და ჩვენი **ტრანსპორტი კარგად აუდის** საქმეს.

ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ რთველი რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ჩავატაროთ. ჩვენი ვარაუდით მეურნეობები 10-12 სამუშაო დღეში დაამთავრებენ მოსავლის აღებას.

გარდა საზოგადოებრივი მეურნეობებისა, დიდ იმედებს ვამყარებთ მშრომელ მოსახლეობაზე. მათ გადაწყვიტეს საკარმიდამო ნაკვეთებში მოკრეფილი ყურძნის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს მიჰყიდონ.

დაიწყო პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები

პაჭარა კოლექტივის დიდი საზრუნავი

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის ერთი პარტიული კრებაზე

□

ერთ თუ ორ ისე დიდია კომუნისტთა ეს კოლექტივი, სულ რვა კაცს ითვლის, მაგრამ იგი თვალსაჩინო გავლენას ახდენს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მერკე მექანიკური საამქროს მეოთხე უბნის საქმიანობაზე. იგი ხომ სამჭოთა კავშირში ერთადერთია, მოლამამუშავებელი სპეციალური ხრახნმჭრელი ჩარხებისათვის დატალებს რომ ამზადებს, უბანი მთელი ქარხნის ავანგარდშია, უწენოდ და უდაფეტოდ მუშაობს.

დიახ, დიდია პარტიული ჯგუფის როლი, რადგანაც წევრთა რიცხვის სიმცირის მიუხედავად, იგი ყველაზე ახლოა ცხოვრებასთან, წარმოებასთან, მოქმედებს სწორედ აქ, სადაც უშუალოდ ექმნება პროდუქცია. სადაც უშუალოდ წყდება ადამიანთა აღზრდის, პარტიული და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხები, ერთი სიტყვით, იგი პარტიული თვალი და ყურია, რომელიც ყოველთვის პირველად ხედავს და აღიქვამს.

ამიტომაც ბუნებრივია, თუ რა დიდი მოვალეობა ეკისრება პარტჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებას, სადაც განხილული მუშაობის საფუძველზე ანალიზთან ერთად ახლოვს მომავალი საქმიანობის უფრო ეფექტური გზების ძიება, შრომითი კოლექტივის დასაზარმაჟად ქმედითი ღონისძიებების შემუშავება.

და აი, როგორც **სასურველი** იყო, მეოთხე უბნის **პარტიული** ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ, რომელიც გუშინწინ გაიმართა, ნამდვილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. ეს, პირველყოვლისა, განსაირობა საანგარიშო მოხსენებამ, რომლითაც კომუნისტთა წინაშე წარდგა პარტჯგუფორგი პ. რევინი. მოხსენებელი და კამათის მონაწილეთა: ძღარავი გ. ჯეგაშვილი, მხეხავი ნ. ჩოხოელი, მერკე საამქროს პარტბიუროს წევრი ი. ხუხუა, საამქროს უფროსი გ. ქურიძე და სხვები მიუთითებდნენ, რომ წარმატებები, რომლებიც მერკე მექანიკური საამქროს მეოთხე უბანს აქვს, თავისით როდი მოკიდა. იგი სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაციის, ამ შეჯიბრების მიმდინარეობისადმი ყოველდღიური კონტროლისა და ზრუნვის შედეგია. აქ ყველა რგოლი მოიცვა შეჯიბრებამ, უბანი — უბანს, ოსტატი — ოსტატს, მუშა — მუშას ეჯიბრება, რომ უფრო თვალსაჩინო ეყოს მათი წვლილი მეცხრე ხუთწლედის დაჯილდებათა შესრულებაში. კომუნისტები კარგად იცნობენ შეჯიბრების შედეგებს, ისინი მუდმივად ამოან საქმის კურსში. სადაც კი ჩამორჩენა ჩანს ხოლმე თავს, ან უარესდება წარისსი და საგანგებო მდგომარეობა იქმნება, სწორედ აქ გადაეკვეთ მათ მთელი ყურადღებაა შედეგი: უბანზე არ არის არცერთი ჩამორჩენილი, უბნიდან არ გადის არც ერთი დეფექტიანი პროდუქცია.

საგულისხმოა, რომ სსრ კავშირის ჩარხშენებლობისა და საერთაშორისოს სამინისტროს სისტემის საწარმოთა შორის ვაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩარხშენებელთა ეს უბანი ორჯერ გამოვიდა გამარჯვებული და ფულადი ჯილდოებიც დაიმსახურა.

პარტჯგუფორგმა თავის მოხსენებაში ალნიშნა, რომ უბნის თვითეული მრომელი საფუძვლიანად გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXV ყრილობის ლენინურად შეზვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“. მათ ისაუბრეს, იმსჯელეს და უფრო გადდებულნ ვალდებულებები აიღეს ყრილობის ღირსეულად შეზვედრისათვის. თუმცა, როგორც პარტჯგუფორგმა, ისე სხვა კომუნისტებმა შეშფოთებაც გამოთქვეს.

— მართალია, — განაცხადეს მათ, — გეგმები სრულდება, იგი 7 თვის მონაცემებით 103,6 პროცენტით არის გაწალდებული, მაგრამ საფრთხე ექმნება სკკპ XXV ყრილობის შესახებ ვალდებულებას.

რატომ, რაშია საქმე?

როგორც კრებაზე თქვეს, ამ ბოლო ხანს უბანი მასალებისა რატომღაც ალ მარაგდება, გაზშორდა მოცდენები, ყოველდღე ცდება 3-4 კაცი, რამდენიმე ჩარხი. ეს უარყოფითად მოქმედებს დისციპლინაზე, შრომის ნაყოფიერებაზე, აწყვეს ხელშეშლებს, და ბუნებრივია, გაუარესებს პროდუქციის ხარისხსაც. მართალია, ამაზე პარტჯგუფში დროზე იტეხა განგაში, მაგრამ საქმეს ბოლომდე მიყვანა სჭირდება, ერთი წუთითაც კი არ შეიძლება ყურადღება შეანელონ.

საერთოდ, აქ ყოველ საგანგებო შემთხვევას დროულად ეხმაურებიან. ამ ტრადიციულად მოწონილი კოლექტივში დაებადა მოარავების კომუნისტ გ. ჯეგაშვილის, უპარტიოების ფ. ჩიხლაძისა და გ. ირემაშვილის პატრიოტული ინიციატივა — სამუშაო დროის გადიდებით 5-10 პროცენტით გეზარდათ გამომუშავების ნორმები. ამ სიახლეს დანერგვით საკრძანობლოდ ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

პარტიული ჯგუფის ბრძოლისუნარიანობა პირდაპირ დამოკიდებულია კომუნისტთა აქტივობაზე. მისი ამაღლებისათვის ზრუნვასთან ერთად პარტჯგუფი ცდილობს თავის რიგებში იყოლიოს მხოლოდ მოწინავენ, ყოველმხრივ სანიმუშო ადამიანები, ამ მოამზადეს და პარტიაში მისაღებად რეკომენდაცია გაუწიეს ორ მოწინავე მუშას. ახლახან მოარაკი გ. ჭეგაშვილი და გამმრთველი ე. სიჭინავა სკკპ წევრები გახდნენ.

ყურადღების ცენტრშია ადამიანთა აქტივობისა და ინიციატივის წახალისება. ამიტომ აქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რაციონალიზატორებად მუშაობას. უბანზე 14 რაციონალიზატორია. მარშან აქ 15 რაციონალიზატორული წინადადება დანერგა წარმოებაში, წელს კი — 10. ამან დიდი ეფექტი მოიტანა. საამისოდ კარგ მაგალითებს იძლევიან თვითონ პარტჯგუფორგი ბ. რევინი და უბნის უფროსი ჯ. თოფურია.

კარგი ტრადიციაა — სამუშაოს დაწყების წინ უბნის ხელმძღვანელებთან ერთად პარტჯგუფი ხუთწუთიან თათბირებზე მსჯელობს წინა დღის მუშაობის შედეგებზე: შრომის დისციპლინის, დაბრალებული პროდუქციის ხარისხის, სისუფთავის დაცვის და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

მაგალითად, პარტჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრების წინა დღეს, 31 აგვისტოს უბნიდან არ გატანილა ნარჩენები, სამუშაო ადგილი დანაგვიანდა. პარტჯგუფორგმა პრინციპულად დაადგა ეს საკითხი, რაც 1 სექტემბერს უკვე მოგვარებული იყო.

როგორც კრებაზე ითქვა, ახალგაზრდობის აღზრდა იყო და არის ამ უბნის კომუნისტების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. რა თქმა უნდა, ახალგაზრდებს მუშური წრთობა აკლიათ, პირველ ხანებში უჭირთ კოლექტივთან შერწყმა. კომკავშვილი ა. კირიგანი საოჯახო სკოლიდან მოვიდა წარმოებაში. იგი ხშირად აღოვვდა დისციპლინას, არ ირჩევდა ხაჭმის დანტერესებას. პარტჯგუფორგი ბ. რევინი ხშირად მასთან იყო, ესაუბრებოდა მამობრივად, ეხმარებოდა, ასწავლიდა. ახალგაზრდამაც მალე გაუხსნა გული და აი ძველი კადრის მუშისა და ახალგაზრდის მეგობრობამ შედეგი გამოიღო. ახლა კირიგანი ალარ იმსახურებს საყვედურს.

ეი კიდევ თენდაც თ. ხაღური, პირველად მისი მუშაობით კმაყოფილნი როდი იყვნენ. უბნის უფროსი ჯ. თოფურია დაინტერესდა ყმაწვილის პირადი ამბებით, გამოარკვია, რომ მას ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდა. საკითხი დააყენეს ქარხნის ადმინისტრაციის წინაშე და მალე მას საყოფაცხოვრებო პირობები გაუუმჯობესეს. ამან დადებითად იმოქმედა ახალმოსულზე, რომელიც ახლა ერთ-ერთი მოწინავეა უბნაზე.

როცა ახალგაზრდა მუშების აღზრდაზე ლაპარაკობდნენ, ისიც თქვეს, რომ გაწეული მუშაობა, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის. ჯერ კიდევ მოისუსტებს პარტიული და შრომის დისციპლინა. კრებაზე საამისო ფაქტებიც დაასახელეს, სწორედ შეგებებული დისციპლინისა და პირადი პასუხისმგებლობის გამომუშავება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა რთული და ხანგრძლივი **პროცესია, ოგი** არ უნდა შეშინდეს.

როგორც გამორკვა, მთელ რიგ გაწეულ სასარგებლო მუშაობასთან ერთად პარტჯგუფორგის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც ითქა. მას არ ალმოუჩენია დადური, ყოველთვის არ აღრიცხავს ჩატარებულ მუშაობას. ვერ მოინახა გასული წლის ანგარიშგება-არჩევნების კრების ოქმიც კი. მართალია, პარტიული ჯგუფი, საერთოდ, გამონაკლისის გარდა, ოქმებს არ ადგენს, მაგრამ საანგარიშო-საარჩევნო კრების ოქმი კი აუცილებლად უნდა გაფორმდეს.

პასუხი ერთია: ბევრად უკეთესად წარიმართებოდა უბანზე პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა, პარტჯგუფორგს რომ ყოველთვის ეწარმოებინა აღრიცხვა, სათანადო კონტროლი გაეწია კომუნისტებისათვის მაცემული დავალებების შესრულებაზე. ამიტომ ზოგჯერ უსარგებლოდ არ დაიკარგებოდა კომუნისტების საქმიანი შენიშვნები და წინადადებანი. მაგალითად, პარტჯგუფორგმა ვერ გაიხსენა და გამორჩა ისეთი საკითხის მოგვარებისათვის ზრუნვა, როგორიცაა უბნის მუშათა შინაარსიანი დასვენების ორგანიზაცია.

ამის თაობაზე თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. იუხინიმ განაცხადა:

— უნდა გაღიარო, რომ პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელებს სათანადოდ ვერ ვეხმარებით. სიმერო იყო მათი მუშაობის ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხზე პარტიული კომიტეტის სხდომას ემსჯელა. ცუდია, რომ მათი სწავლებისათვის არ შეგიქმნია სკოლა. არ ვაწყობთ სემინარებს. გულახდილად უნდა ვთქვათ, პარტჯგუფისადმი ჩვენი დახმარება მარტო მათ შეკრებებზე დასწრებით ამოიწურება.

დიახ, პარტჯგუფორგებს მეტი დახმარება სჭირდებთ. ამის კონკრეტული მაგალითია ჩარხშენებელთა ქარხნის მერვე მექანიკური საამქროს მეოთხე უბნის პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელმაც გაწეულ დადებით მუშაობასთან ერთად, ორგანიზაციული საქმიანობის სერიოზული ნაკლოვანებებიც ითქა. მას არ ალმოუჩენია დადური, ყოველთვის არ აღრიცხავს ჩატარებულ მუშაობას. ვერ მოინახა გასული წლის ანგარიშგება-არჩევნების კრების ოქმიც კი. მართალია, პარტიული ჯგუფი, საერთოდ, გამონაკლისის გარდა, ოქმებს არ ადგენს, მაგრამ საანგარიშო-საარჩევნო კრების ოქმი კი აუცილებლად უნდა გაფორმდეს.

პასუხი ერთია: ბევრად უკეთესად წარიმართებოდა უბანზე პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა, პარტჯგუფორგს რომ ყოველთვის ეწარმოებინა აღრიცხვა, სათანადო კონტროლი გაეწია კომუნისტებისათვის მაცემული დავალებების შესრულებაზე. ამიტომ ზოგჯერ უსარგებლოდ არ დაიკარგებოდა კომუნისტების საქმიანი შენიშვნები და წინადადებანი. მაგალითად, პარტჯგუფორგმა ვერ გაიხსენა და გამორჩა ისეთი საკითხის მოგვარებისათვის ზრუნვა, როგორიცაა უბნის მუშათა შინაარსიანი დასვენების ორგანიზაცია.

ამის თაობაზე თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. იუხინიმ განაცხადა:

— უნდა გაღიარო, რომ პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელებს სათანადოდ ვერ ვეხმარებით. სიმერო იყო მათი მუშაობის ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხზე პარტიული კომიტეტის სხდომას ემსჯელა. ცუდია, რომ მათი სწავლებისათვის არ შეგიქმნია სკოლა. არ ვაწყობთ სემინარებს. გულახდილად უნდა ვთქვათ, პარტჯგუფისადმი ჩვენი დახმარება მარტო მათ შეკრებებზე დასწრებით ამოიწურება.

ალექსანდრემ ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სტატიას, ერთხელ კიდევ გულდასმით წაიკითხა წითელი ფანქრით მონიშნული ადგილები. გაიაზრა ის აზრაცი, რომელშიც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი პრობლემა გახდა ჩვენი მუშაობის ხარისხის ამაღლება.

— ეს ყველას გვეხება. გამონაკლისს არც მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა წარმოადგენს, — დაასკვნა ალექსანდრემ და პროპაგანდისტებთან საუბარში გამოსაყენებელი სხვა ადგილებიც გადაიტანა უბის წიგნაკში. შემდეგ ასევე ყურადღებით წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ამ ხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 13 ივნისის წინასაარჩევნო სტატიასთან დაკავშირებით“. ამ დოკუმენტშიც ბევრი რამ ნახა და გაიგო პროპაგანდისტმა, პროპაგანდისტებთან რეგვალრეშე შეხვედრაში გამოსადეგი და გამოსაყენებელი.

ალექსანდრე ქუთათელაძის პროპაგანდისტული მოღვაწეობა სპეციფიკურია. იგი არის პროპაგანდისტთა პროპაგანდისტი, ხუთ წელზე მეტია, რაც ხელმძღვანელობს პარტიის სამტრედიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტთან შექმნილ სემინარს, რომელშიც გაერთიანებულია ასზე მეტი სხვადასხვა პროფილისა და დარგის, სკოლებისა და სემინარების ხელმძღვანელი.

მეორე დღეს პროპაგანდისტებმა დანიშნულ დროზე მოიყარეს თავი პოლიტგანათლების კაბინეტში. საკონსულტაციო სემინარი თავიდანვე კარგად აეწყო. როგორც კი დამთავრდა საკონსულტაციო სემინარი, პროპაგანდისტებმა თავიანთი ობიექტებისაკენ გასწიეს. თვითონ ალექსანდრე ქუთათელაძემ დიდი ჯიხაშის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობისაკენ იიღო გეზი. კოლმეურნეობის მარტბიურის მდივანთან აკაკი კაჭახიძესთან ერთად კარგა ხანს ისაუბრეს კოლმეურნეობის რგოლებში, ბრიგადებსა და ჟლონტაცებში მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის გააქტიურების ღონისძიებათა შესახებ.

პროპაგანდისტმა დამაჯერებლად ისაუბრა შრომელთა ეკონომიური განათლების სტეკეთეზე, იმათი შრომითი წარმატებების შესახებ, რომლებიც ეკონომიურ განათლებას ეძენენ. ამის სანიმუშო მაგალითია კოლმეურნეობის მექანიზატორის სოსო დვალიშვილის ნაყოფიერი შრომა. იგი ეკონომიური ცოდნის საფუძველზე ბის სკოლის აქტიური მსმენელია, ხშირად ესწრება ლექციებ-მოხსენებებს. მიღებული ცოდნა ეხმარება პრაქტიკულ საქმიანობაში. მის მოსავლიანობაში მიჩენილი აქვს 7 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რასაც ჩინებულად უვლის, ყოველწლიურად სარეკორდო მოსავალს იღებს. შარშან მანქანა „საქართველოთი“ 50 ტონამდე ჩაი მოკრიფა. წელს ვალდებულება აიღო მოკრიფოს 61 ტონა, რასაც წარმატებით ანადგურებს. ასევე ითქვის ციხო და კუკუშა ვაშაძეებზე. ისინი ინტერესით ეუფლებიან და პრაქტიკულ საქმიანობაშიც იყენებენ ეკონომიურ ცოდნას.

საქმისადმი, მოვალეობისადმი ასეთი დამოკიდებულებით გამორჩეული თვითონ პროპაგანდისტიც. იგი ყოველთვის მოწადინებული ეცნობა პროპაგანდისტული მუშაობის საფუძველსა მეთოდებსა და ფორმებს, ამ მხრივ შეძენილ გამოცდილებას. სასტემატიურად ხვეწს, სრულყოფს პროპაგანდისტულ ხელოვნებას, წინასწარ ღრმად ამუშავებს ყოველი საუბრის თემას. ამიტომაც ამბობენ მასზე: — იგი არის პროპაგანდისტი, რომელმაც კარგად იცის გზა ადამიანების გულისაკენ. მათთან შეხვედრის დროს არც აზრი აქვს სიძენი და არც სიტყვებიო. ამაში დაარწმუნდი, რაც დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მის სამეურნეო კაბინეტში დაკთვალიერე პროპაგანდისტული მუშაობის კუთხე. აქ ყურადღებას იქცევს ეკონომიურ საკითხებსა და პრობლემებზე შეგროვილი სახელმძღვანელოები, წიგნები, ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა ყაროები. აქვეა აქტუალურ საკითხებსა და თემებზე თვითონ მის მიერ დაწერილი რეფერატები, მოხსენებები, მისი ჩანაწერები.

— მართალია, — ვეკითხა ა. ქუთათელაძეს, — პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში სასწავლო წელი ვიდრე ხანია დამთავრდა, მაგრამ ეს ისაა როდი ნიშნავს, რომ ყურადღება შეეგანელოთ მშრომელთა ეკონომიური განათლებისა და მათი იდეური წრთობისადმი. ამ ეტაპადაც მეტ ყურადღებას ვუთმობთ გადასაწყვეტ ამოცანებს. ჩვენი სემინარის მსმენელებმა — პროპაგანდისტებმა გადაწყვეტეს არდადეგების პერიოდშიც არ შეწყვეტონ ადამიანებთან მუშაობა. ამასთან ერთად მხარში ამოუდგნენ მათ უშუალოდ შრომაში და თვითონაც როგორც სიტყვით, ისე საქმით ღირსეული წვლილი შეიტანონ დამამთავრებელი წლის და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში. თვითონ მე სოფელ დიდი ჯიხაიშის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში ხშირად ვხვდები მშრომელებს.

როგორც წერილას დასაწყისშიც ვთქვი, ამ დღესაც კარგი განწყობილებით დაბრუნდა შინ პროპაგანდისტი ალექსანდრე ქუთათელაძე. სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ირგვლივ კოლმეურნეებთან საუბარი დამაინტერესებელი გამოვიდა. როცა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ირსზე მსჯელობდა, მოიყვანა კოლმეურნეობის სინამდვილიდან აღებული ცოცხალი მაგალითები. მარჯვენა შეუქო შრომის ნაძვიან ნოვატორებს. თუ დიდი ჯიხაიშის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, ბგრეთვე დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები მიღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან მოვალეობას, ამაში პროპაგანდისტ ალექსანდრე ქუთათელაძის შთამაგონებელი სიტყვის წვლილიც არის.

შ. გულუა,

□

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ტყიბულში ბინათმშენებლობა ჩამორჩება

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ ტყიბულის სახ. ქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ფხაკაძე.

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი, რომელიც შეეხებოდა ტყიბულში ბინათმშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ფხაკაძემ რედაქციას აცნობა, რომ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეხამება, პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. სამშენებლო ორგანიზაციებს დაევალათ მოაწყონ ორცვლიანი, ხოლო უფრო ხელსაყრელ პირობებში სამცვლიანი მუშაობა. 90-ბინიანი სახლის მშენებლობაზე ბინაჯოვანი ხაძარკვლის მოწყობის სამუშაოების უკეთ წარმართვის მიზნით, რომელიც ძირითადად აფერხებს ასაწყობი კონსტრუქციების მონტაჟს, მიმაგრებულია პასუხისმგებელი პირი მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის ხიმინჯების სამუშაოთა სპეციალიზებული სამმართველოდან, ამავე ობიექტზე გამოყენებულია დამატებითი მექანიზმები, გატარდა ღონისძიებანი ობიექტების სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის მხრივაც. მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები დაიხვა ზემდგომ ორგანოებში მათი დროულად და დადებითად გადაწყვეტის მიზნით.

მიუხედავად დასახული ღონისძიებებისა ბინაჯოვანის მოწყობის სამუშაოებს კვლავ არადამაკმაყოფილებლად წარმართავს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის ხიმინჯების სამუშაოთა სპეციალიზებული სამმართველო, რაც საფრთხეშია აგდებს სახლის წლეულს ჩაბარების საკითხს.

საქალაქო კომიტეტის მიზანია მკაცრად გააფრთხილოს სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და დამკვეთი, რომელთაც უშუალოდ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქალაქში ბინათმშენებლობის გეგმის შესრულებაზე. საქალაქო კომიტეტი ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მშენებლობის მიმდინარეობას, იღებს ზომებს ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ნამატს მთლიანად უკვინარჩუნებთ

წერილი იალალებიდან

დადგენილება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეზვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ სოფლის მშრომელებს, მოუწოდებს ყველაფერი გაკეთდეს მოსავლის აღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, საკვების დაგროვების წარმატებით დამთავრებისათვის.

ყველაფერი ეს სოფლის მშრომელთა ღვაწლი საქმეა, რომელსაც არ ეფალატება, რაც შეგვიძლია ჩვენ, მეცხოვრეებს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სანიმუშოდ გამოვაზამთროთ ცხვარი, ავამაღლოთ მისი პროდუქტიულობა, ვამრავლოთ ქალეული. დოვლათი, ამას მოვავოწოდებს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია, და იქვე არ გვეპარება, რომ ამ მოწოდებას პირნათლად შეგასრულებთ.

მე პირადად ოთხი წლის წინათ ავიღე მეცხვრარის კომბალი, ჩავიცვი მწკეცმის ტანსაცმელი და საკოლმეურნეო ფარასთან ერთად გავუდექი ყიზლარის გზას.

შარშან კოლმეურნეობის გამგეობამ ფარის უფროსობა მომანდო. ფარაში სულ ახალგაზრდა მწყემსები ვართ — ლუხუმ ჯაბანაშვილი, ჩემი ძმა დავით ხოშტარაული და სხვები. ფარაში ორი ათასი ცხვარი გვყავს. გასულ წელს ერთ სულ ცხვარზე 3 კილოგრამი მატყლი მივიღეთ, გვემა კი 2,5 კილოგრამს თვალსაჩინებდა, ხოლო ყოველ 100 ნერგზე — 90 ბატკანი. წლეულსაც ნაკისრ ვალდებულებას აუცილებლად შევასრულებთ.

ამყამად გაწარმოებთ ცხვრის სამემოდგომო პარსვას, ვეძებადებით ცხვრის გადარეკვისათვის ზამთრის საძოვრებზე, ჩემი ბრიგადის სახელით, რომელიც მთლიანად კომკავშირულია, პირობას ვდებ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლეთ მივაღწიოთ ცხვრის ასპროცენტიან ნამატს და მატყლის გამოსავლის გადიდებას.

ვ. ხოფურაული,

დუშეთის რაიონის მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის ფარის უფროსი.

ელჩის მიღება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. დ. კეკნაძემ 2 სექტემბერს მიიღო წინადღეს თბილისში ჩამოსული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში უ. ზამი. გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე.

ამავე დღეს უ. ზამი ესაუბრა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს გ. ნ. ჯიბლაძისა და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ო. ვ. თაქთაქიშვილს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი იწვია საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას, სადაც შეხვდა საზოგადოების გამგეობის წევრებს, დაათვალიერა საქართველოს **სახალხო** მეურნეობის მიღწევათა **გამოფენა.** (საქინფორმი).

მეცხოველეობის გიგანტი

ფერმების სპეციალიზაცია და მსხვილი სამრეწველო კომპლექსის შექმნა — რენტაბელობის საფუძველია

სურათებზე: ხობის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის კომპლექსის საწველი აგრეგატების დამონტაჟებაზე მუშაობენ ვ. შონია და ე. ბედია; ქვემოთ კომპლექსის მშენებლობის ხედი.

შ. ჩხეტიანის ფოტო.



კომპლექსის მოთხოვნებს. ამჟამად არსებული მწვანე კონვეიერი წელს განმავლობაში 2,500 ტონა მწვანე და ზვნიან საკვებს იძლევა, მაშინ, როცა კომპლექსის სიძლიერის სრული ათვისების დროს 15 ათასი ტონა საკვების წარმოება იქნება საჭირო. მას ავრეს ნაჭობარი ტერიტორია, რომლის ათვისების შემდეგ პირუტყვი მწვანე და ზვნიანი კონვეიერით წლის ყველა დროს იქნება უზრუნველყოფილი.

უზარმაზარ კომპლექსს ბევრი წყალიც დასჭირდება. ჭაბურღილით მიწის წიაღიდან ამოიყვანეს ანკარა წყალი, ათრნეს წყალსაწყები კოშკი და დადგეს 50 ტონის ტევადობის ცისტერნი, რომელიც კომპლექსის სისტემას ტექნიკური და სასმელი წყლით უზრუნველყოფს.

ეშენებლებმა 8 კილომეტრის სიშორიდან გამოიყვანეს ორმაგი კვების ელექტრო ხაზი, დადგეს სატრანსფორმატორო ქვესადგური, რამაც უზრუნველყო მშენებლობაზე ამწეებისა და სხვა ტექნიკის ამუშავება.

ამჟამად ძირითადი ობიექტების — მომსახურე პერსონალისა და სადეზინფექციო ბლოკების, საძროხეების, სახბორეების, სამშობიარო განყოფილების, მოზარდთა ბიზნის და რძის გადამამუშავებელი ბლოკების სამშენებლო სამუშაოები დამთავრების პროცესშია, მიმდინარეობს ტექნოლოგიური მოწყობილობების და დახადგარების მონტაჟი, შიდა ელექტროგანათებისა და სანტექნიკური სამუშაოები.

დამთავრდა 250 ტონის ტევადობის საკვებშესანახავი საწყობის, თითო 2400 ტონის ტევადობის ორი სასილოსე ნაგებობის, გათბობის სისტემისათვის საქვაბე ნაგებობათა, მანქანა-იარაღების ფარდულის, კანალიზაციის სატუმბი სადგურის, ბიოფილტრის და სხვა ობიექტების შენებლობა.

ამ გიგანტის მშენებლობის ღირებულება 1 მილიონ 809 ათას მანეთს აღემატება. უკვე შესრულებულია 1 მილიონ 400 ათას მანეთისაზე მეტი სამშენებლო სამონტაჟო და მიწის სამუშაოები. მშენებლობაზე ყოველი დღე დამკვრელურად არის გამოცხადებული, შექმნილია კომპლექსური ბრიგადები და რგოლები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. პირველობას არ თმობენ ა. ცხადაია, ა. სარჩიმელიას, ე. გაბისონიას და დ. ცხადაიას კომპლექსური ბრიგადები.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. „საქსოფტექნიკის“ ხობის რაიონული განყოფილება, რომელიც ნაკელის გატანას, საწველი აგრეგატების და სხვა მოწყობილობების დამონტაჟებას საქმეობს, ალორეცელებს, დღემდე ვერ ასრულებს ვალებს. აკლიათ კვალიფიციური მუშახელი. ასევე მოუქნელად მუშაობენ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს თბილისის ენერგოლაციის სამუშაოთა სპეციალმმართველოს მუშაკები.

ხობის სამრეწველო კომპლექსის მშენებლობა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობის ტემპი და ვალდებულება უთუოდ უნდა შეასრულონ.

ბ. ნოდია,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სტუდენტთა საგვიმო ფიცი

პირველ სექტემბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა პირველკურსელებთან შეხვედრას.

სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ბილაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. შარაძავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეკანონიერეობისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ჯ. სიხნიაშვილი, მინისტრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრები, სტუდენტები, წარმოების მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა დ. ჩხიკვიშვილმა. მან სტუდენტებს მიულოცა სასწავლო წლის დაწყება, უსურვა, რომ ისინი გახდნენ საქართველოს უფროსი უმაღლესი სასწავლებლის მდიდარი ჯარდიციების ღირსეული გამგრძელებლები. შესანიშნავი სპეციალისტები, მთელი თავიანთი ძალღონე და ცოდნა მოახმარონ დიადი საბჭოთა სამშობლოს სამსახურს.

დარბაზში ჩაჰრა სინათლე. ეკრანზე ჩანს კინოჭრონიკის კადრები, რომლებიც ასახავენ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა მდიდარი მოვლენებით აღსავსე ცხოვრებასა და ყოველდღიურ საქმიანობას.

სიტყვა ეძღვნა უმაღლესი სასწავლებლის პარტკომის მდივანს, დოცენტ რ. ჯორდანიას. მან ილაპარაკა მიხალეთ გამოდგების შედეგებზე, უმაღლესი სასწავლებლის ახალი, 57-ე შვილების წარმომადგენლებს მიულოცა სტუდენტის საპატიო წოდება.

პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მოუწოდა პირველკურსელებს ბეჯითად დაეუფლონ ცოდნას, გახდნენ თავიანთი უმაღლესი სასწავლებლის ნამდვილი პატრიოტები.

სტუდენტთა სამშენებლო რაზმის უფროსმა გ. ჯინჯარაძემ უნივერსიტეტის რექტორისადმი პატაჯში ილაპარაკა მისამე შრომითი სეზონის პერიოდში უნივერსიტეტის

მსოფლიო დღეს

მეგობრული შეხვედრა

ბანგი. (საკუთარი სპეც. კორ.). ... ქალაქ ბანგოში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, კომიტეტის პოლიტბიუროს ... ეროვნული ... ინტერნაციონალ ... ბრინეი ნოროდომ სიანუკი.

ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე გამართულმა საუბარმა მეგობრულ გითარებაში ჩაიარა.

უჩვენებს სსრ კავშირი

ბუდაპეშტი. (საკუთარი). ... ...

საქართველოს რაიონებში

ჯავა

გვატყობინებს ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ახალგაზრდობის ბანაკი

მაღალმთიან სოფელ კროზში გაიხსნა ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკი, რომელიც ჯერჯერობით ერთდროულად მხოლოდ 60 კაცს ემსახურება. უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია აქ აიგოს სამსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა, რომელიც ერობაშად 250 ტურისტს გაუწევს მასპინძლობას. ბანაკის სტუმრები — უცხოელი ახალგაზრდა ტურისტები, საბჭოთა ახალგაზრდებთან ერთად დაისვენებენ და გაეცნობიან რაიონის და სამხრეთ ოსეთის ოლქის ღირსშესანიშნაობებს.

ტურისტული დასასვენებელი ბაზა

მზიუგომის ხეობაში შენდება ტურისტული ბაზა. ახლა აქ გაცხოველებით მიმდინარეობს ფინური საცხოვრებელი სახლების აგება 200 კაცისათვის. პირველ ტურისტს იგი მომავალი წლის აპრილიდან მიიღებს. ბაზას როგის უდელტეხილის 44-ე ტურისტული მარშრუტის გარდა, სტუმრები ეწვევიან ქვეყნის ყველა მხრიდან. ამ თვალწარმტაც ხეობაში ტურისტებს საშუალება ექნებათ ორ კვირას დაისვენონ კიდეც.

ახალი სანატორიუმი

სანატორიუმ „ჯავის“ გვერდით საქართველოს კურორტმშენის სამმართველო მინერალური წყლის ბაზაზე კუჭნაწლავის ავადმყოფობით დაავადებულთა სამკურნალოდ აგებს ახალ სანატორიუმს. მომავალი წლიდან დაიწყება რვასართულიანი კეთილმოწყობილი შენობის აგება, რომელიც 500 ავადმყოფზეა გათვალისწინებული.

ერწოს ტბაზე

ერწო ერთ-ერთი საუკეთესო სოფელია, იგი საკურორტო ზონად ითვლება. ამ ადგილს ორჯერ ეწვევნენ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. მათ შეარჩიეს ადგილი ერწოს ტბაზე, სადაც განზრახული აქვთ ააგონ დასასვენებელი ბაზა. აქ დაისვენებენ და ჯანმრთელობას აღიდგენენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. მშენებლობისათვის, რომელიც ნაგარაუდევია მომავალი წლიდან დაიწყოს, უკვე მეევრი რამ მომზადებულია ადგილზე.

„ბაგიათა“

მიმდინარეობს მშენებლობა და წელსვე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საირმის ტიპის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა „ბაგიათა“. იგი სათში სამიათას ბოთლ წყალს ჩამოასხამს, ხოლო წელიწადში 4 მილიონ ბოთლ მინერალურ სამკურნალო წყალს მიაწოდებს მოხმარებელს.

Ე. მამულაშვილი.

ჩვენს გზებსა და გზაჯვარედინებზე

ღვინის ბოტრფიალები

ალკოჰოლის მცირე დოზით მიღებაც კი საგრძნობლად აქვეითებს ადამიანის ყურადღებას, უსუსტებს მხედველობას, ზღუდავს აზროვნებას. მტკიცებას აღარ საჭიროებს, რომ ნასვამი მძღოლის მიერ მანქანის მართვა ყოველად დაუშვებელია და დიდი დანაშაულიც არის. მაგრამ ზოგიერთ პროფესიონალ მძღოლს თუ ავტომოყვარულს სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შეუგვნია ამ დანაშაულის სიმძიმე.

22-24 აგვისტოს თბილისის ქუჩებში მოწყობილმა რეიდებმა 45-ზე მეტი ნასვამი მძღოლი გამოავლინა. აი ისინიც: საქართველოს ფილარმონიის თანამშრომელი ალექსი ბაგრაციანი, წყალტუბოს რაიკომკავშირის ხილის დამამზადებელი ბუნტის გამგე ელგუჯა კუზიანიძე, სახანძრო პროფილაქტიკის უფროსი ინსტრუქტორი თინა სიმონიანი. მთვრალმა თინა სიმონიანმა ავტონსპექციის მუშაკებს თამამად უთხრა: ღღეს შეიფარეთ ისეთ ვერძნობ თავს, აი გუშინ ან გუშინწინ ღამით რომ შემხვედროდით, მართლაც „არგან ვიყავი ნასვამი. „თბილმრეწველობის“ № 148 მაღაზიის გამყიდველი რაფიელ ხანეკოვი მამის მანქანას მართავდა. მანქანაში კი მასავით ნასვამი ორი ქალი და ერთი ნაცნობი ვაჟი უჯდა. მძღოლს გაქცევით უნდოდა დასხლტომოდა წესრიგის დამცველებს, მაგრამ ამაოდ.

კვლავ უსხდებიან მანქანის საჭეს ნასვამი პროფესიონალი მძღოლები. ზოგჯერ ამას ხელს უწყობს ავტომეურნეობის ხელმძღვანელის უკონტროლობა. უკონტროლობა თუ არა, რა უნდოდა ქუჩაში ღამის ორ საათზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოსახურების რესპუბლიკური სამინტაფო სამმართველოს მძღოლს შოთა გურგიშვილს და მასზე მიმაგრებულ მანქანას? შ. გურგიშვილი ჯერ გაქცია, შემდეგ მანქანა გააჩერა და შუმიანის ქუჩაზე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში დაიმალა, მაგრამ ოპერატიულმა მუშაკებმა მალე აღმოაჩინეს.

ასევე გვიან ღამით გააჩერეს საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამმართველოს ნასვამი მძღოლი ვლადიმერ ზალინაშვილი, თბილისის სატრანსპორტო ექსპედიციების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მძღოლი ნამიკ ზამიდოვი, თბილისის მე-5 სატვირთო საწარმოს მძღოლი გოდერძი ბუჯიაშვილი და სხვები.

ლოთი მძღოლები სასიკადრისად დაუსჯებიან.

Ა. ფუგითიძე,
მილიციის კაპიტანი.

ჩვენს დიად საბჭოთაზლოში



ეროვნული ფოტოგალერეა

ფოტოკორესპონდენტი

ლია ცის ქვეშ მოთავსებულ ლაბორატორიას ეძახიან დარვინის ნაკრძალს, რომელიც ვოლოგდის ოლქში რიბინსკის წყალსაცავის დასავლეთ ნაპირზე გადაჭიმულა. ნაკრძალის თანამშრომლები სწავლობენ ფლორისა და ფაუნის ცვლილებებს აქ ჰიდროკვანძის მშენებლობის შემდეგ. გარდა ამისა ნაკრძალი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების საკვლევი სამუშაოების ძირითად ბაზას წარმოადგენს. აქ შემუშავებული რეკომენდაციები საინტერესოა მეცნიერებისათვის. სურათზე (მარცხნივ) ნაკრძალის თანამშრომელი დაკვირვებას აწარმოებს ფრინველებზე.

□

ქილოვოდსკი. ამ განთქმული კურორტის ახალ ჯანმრთელობის კერას (სურათზე მარჯვნივ ზემოთ) გ. დიმიტროვის სახელი მიენიჭა. სანატორიუმი 1.200 დამსვენებლისათვის არის განკუთვნილი.

საუოველთაოდ არის განთქმული ტაჯიკ ოსტატთა ნაქსოვი ნამუშევრები. მაღალმთიან პამირში ქსოვას ბავშვობიდანვე სწავლობენ და ამიტომაც არის, რომ ახლა აქ ამ პროდუქციის დამამზადებელი 25 კომბინატი და საოსტატოა, რომლებიც 700 ხელმარჯვე ოსტატს აერთიანებს. სურათზე მარჯვნივ შუაში თქვენ ხედავთ ტაჯიკ ოსტატებს მუშაობის დროს.

□

ქვემოთ მარჯვენა სურათზე ასახულია ლამაზი ტბა ხელოვნური წყალსაცავია, რომელმაც ყირგიზეთის უველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური — ტოქტაგულის ჰიდროელექტროსადგური უნდა ასაზრდოოს. „ყირგიზეთის ზღვა“, — ასე უწოდებენ მას.

ხ. მეტელიცას, კ. ტარუსოვის, კ. შუმინოვის, ა. კოლიაკოვის და მ. ფლაშტინის ფოტო (საკვლის ფოტოქრონიკა).

დროშა — ჯილდოდ

ტყიბული. (საკ. კორ.). შარშანდელი შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ტყიბულის სამხედრო კომისარიატი, რომელსაც მიეკუთვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ეს ჯილდო მოპოვებულია ქალაქში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ორგანიზებულად ჩატარებისა და პატრიოტული მოვალეობის მოსახდელად ახალგაზრდობის მაღალ დონეზე მომზადებისათვის.

ბეშასტეთა კულტურის სასახლეში გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელსაც 600-ზე მეტი კაცი დაესწრო. რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა, გენერალ-მაიორმა ვ. მურუსიძემ გარდამავალი წითელი დროშა საზეიმო ვითარებაში გადასცა ქალაქის სამხედრო კომისარს პოდპოლკოვნიკ ვ. სხირტლაძეს,

ვ. ციბეკიძე.

□

მოსკოვის სცენაზე

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). კირნათოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი ამ ზაფხულს მოსკოვში მიიწვიეს. ნორჩმა შემსრულებლებმა კონცერტები გამართეს მოსკოვის გორკის სახელობისა და სოკოლნიკის პარკების ესტრადებზე, აგრეთვე საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში. ანსამბლმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა ვიმპელები და სიგელები დაიმსახურეს.

მ. გორგილაძე.

ახალ შენობაში

სოფელ გურჯაანში საექსპლოატაციოდ გადაეცა კულტურის სახლის ახალი შენობა, რომელსაც აქვს 500-ადგილიანი დარბაზი, ოთახები, საწერო მუშაობისათვის და კარგად მოწყობილი ფართო ფოიე.

სასოფლო კულტურის სახლი უკვე შეუდგა მზადებას მომავალი ფესტივალისათვის.

ა. თვალიაშვილი.

ჩვენი ცნობარი

ქუთაისის სრულიად პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად

1. ფიზიკის კათედრის დოცენტი — 2 საშტატო ერთეული, ასისტენტი — 4 საშტატო ერთეული.

2. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის დოცენტი — 1 საშტატო ერთეული, მეცნიერული კომუნიზმის სპეციალობით 2 საშტატო ერთეული მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სპეციალობით.

3. უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტი — 2 საშტატო ერთეული, სპეციალობა უმაღლესი მათემატიკა, დოცენტი 1 საშტატო ერთეული. სპეციალობა გამოთვლითი ტექნიკა.

4. ქსოვისა და გამომყვანი წარმოების კათედრის ასისტენტი 1 საშტატო ერთეული. სპეციალობა გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა.

5. თეორიისა და მანქანათა ნაწილების კათედრის ასისტენტი 1 საშტატო ერთეული. სპეციალობა მექანიზმებისა და მანქანათა თეორია.

6. ელექტროტექნიკის კათედრის ასისტენტი 1 საშტატო ერთეული, სპეციალობა ელექტროტექნიკა, ავტომატიკის საფუძვლები და საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია; ასისტენტი 0,5 საშტატო ერთეული, სპეციალობა ჰიდრავლიკა და ჰიდრომანქანები; დოცენტი, 1 საშტატო ერთეული, სპეციალობა ელექტროტექნიკა, ავტომატიკის საფუძვლები და საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია; უფროსი მასწავლებელი, 1 საშტატო ერთეული, სპეციალობა ელექტროტექნიკა.

7. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ასისტენტი 1 საშტატო ერთეული.

3. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

აცხადებს, რომ 1975 წლის სექტემბრიდან იხსნება კონსერვატორიაში შემსვლელთათვის მოსამზადებელი კურსები მუსიკალურ-თეორიულ და კუშანიტარულ ხაბნიმში.

კურსებზე მიიღებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი.

საბუთები მიიღება 1975 წლის 10 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე. მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან. კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

სწავლება საღამოს საათებშია.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, 2-დან 5 საათამდე სასწავლო ნაწილში.

მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 8, ტელეფონი № 99-84-89.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის

სახელმწიფო სკოლა-სტუდია

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1975-1976 სასწავლო წლისათვის

პირველ კურსზე მიიღებიან 11-12 წლის (V-VI კლასების) მოსწავლეები (ბიჭები და ვაჟები), რომელთაც აქვთ განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემები, საუკეთესო მუსიკალური სმენა, რიტმი და მეხსიერება.

II-III და IV კურსების ვაკანტურ ადგილებზე, შესაბამისად VII-VIII და IX კლასების მოსწავლეები, რომელთაც აქვთ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეებსა და სტუდიებში მიღებული ცეკვის პრაქტიკული ჩვევები და დადებით მეფასებას მიიღებენ შესარჩევ შემოწმებაზე.

სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება (სტუდიის დირექტორის სახელზე), 2. დაბადების მოწმობის ასლი (შემოწმებული ნოტარიუსის მიერ), 3. ცნობები შობლების სამსახურიდან მათი საქმიანობის შესახებ, 4. ცნობა ბავშვის ცხოვრებელი ადგილიდან, 5. რეკომენდაცია ზოგადსაგანმანათლებელო სკოლიდან, 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 7. ორი ფოტო სურათი (ზომა 3X4 სმ.).

ქორეოგრაფიულ სკოლა-სტუდიაში სწავლების პირველი წელი პირობითია, ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლის პირობაში ვერ გამოავლენენ სასურველ მაჩვენებლებს, განთავისუფლდებიან სკოლა-სტუდიიდან.

სკოლა-სტუდიაში სწავლება უფასოა.

განცხადების მიღება იწყება 5 ივლისიდან, დილის 11 საათიდან ხალამის 5 საათამდე (ყოველდღე კვირის გარდა).

ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის მისამართი: თბილისი, ლერმონტოვის ქ. № 8, ტელეფონი: 99-51-14.

მეოთხედ!.. ჭადრაკი

ვალერი ჩეხოვი — მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის

საბჭოთა ოსტატმა, 19 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ვალერი ჩეხოვმა იუგოსლავიის ქალაქ ტიენტოშტში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ჭაბუკთა შორის.

უკანასკნელი ტურის გადადებული პარტიის დამთავრებისას მან 65-ე სვლაზე დაამარცხა მექსიკელი ვილარი და მოაგროვა 10 ქულა 13 შესაძლებლიდან. ვ. ჩეხოვი ტურნირის ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც დამარცხება არა აქვს. მან მოიგო 7 პარტია, 6 კი ყაიმით დამთავრა.

მეორე ადგილზეა ამერიკელი ლარი კრისტიანსენი, მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ინგლისელმა მესტელმა და ბულგარელმა ინკოვმა — ცხრა-ცხრა ქულა.

საბჭოთა მოჭადრაკეებიდან ეს წოდება სხვადასხვა დროს მოუპოვებიათ ბ. სპასკის, ა. კარპოვსა და ა. ბელიავსკის.

ბრძოლას ოთხეული აგრძელებს

მაშ ასე — პორტიში, კარპოვი, პეტროსიანი და ლიუგომეინი

12 დიდოსტატის შეჯიბრებამ მილანში საჭადრაკო სამყაროს დიდი გულისყურადღება გამოიწვია. აქ გარკვეული როლი ითამაშა ტურნირის თავისებურმა ფორმულამაც — პირველი ეტაპის შემდეგ 8 დიდოსტატი გამოვიდნენ ბრძოლას. მაგრამ ძირითადი ამბები ჯერ კიდევ წინ არის. ახლა თამაშს უკვე მატჩების სისტემით ჯაჭვრელების ოთხი უძლეურესი მონაწილე.

წინასწარ ტურნირში 11 თამაშიდან 7 ქულით ჯიმმარჯვა უნგრელმა მოჭადრაკემ ლაიოშ პორტიშმა. ეს გამოირკვა მას შემდეგ, რაც პორტიშმა უკანასკნელ ტურში მოუგო ბრაუნს (აშშ), მსოფლიოს ჩემპიონმა კარპოვმა კი არ მოისურვა ბრძოლის გამწვავება და სწრაფად შეუთანხმდა ყაიმზე მარიოტის (იტალია).

მას შემდეგ, რაც პორტიშმა ორი წლის წინათ წააგო პრეტენდენტთა მატჩი პეტროსიანთან, იგი ფრიად არათანაბრად თამაშობდა, ახლა კი, როგორც ჩანს, ისევ აღიდგინა უწინდელი ძალა.

24 წლის შვედი ულფ ანდერსონი ამ ტურნირში ლიდერთა ნამდვილ რისხვად მოგვევლინა — მან მსოფლიოს ჩემპიონ კარპოვსაც სძლია. ამ პარტიაში კარპოვს დიდხანს ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ მოულოდნელი დამარცხების შემდეგ მომდევნო ტურებში უკვე აღარ გაუმწყვიტია ბრძოლა — უბრალოდ საფინალო ოთხეულში ადგილის „დასაჯავშნავად“ იზრუნა. როგორც ყოველთვის, კარპოვმა ამ ტურნირშიც მარჯვედ ვამოიყენა თავისი ერთ-ერთი ძირითადი იარაღი — ესპანური პარტია. ამ დებიუტის გამოყენებით მან მოუგო უნციერასა და ვლიგორინს.

პეტროსიანი ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც შესარჩევ ტურნირში პარტია არ წაუგია. სანტერესოა აღინიშნოს, რომ 7 პარტიის შემდეგ მსოფლიოს ექსჩემპიონს 7 ყაიმი ჰქონდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფინალში გასასვლელად პეტროსიანს მეტად ძნელი ამოცანა უნდა გადაეჭრა — დასაწინაო ოთხი პარტიიდან 3 ქულა მოეგროვებინა. მოსკოველმა დიდოსტატმა დიდი სიმტკიცე და სიმშვიდე გვიჩვენა, ზუსტად 6,5 ქულა მოაგროვა (9 ყაიმი, 2 მოგება) და ფინალისტთა შორის მოხვდა.

მეოთხე საგზური თითქოს ტალს უნდა მოეპოვებინა, რომელმაც უკანასკნელ ტურში მოსაგები პოზიცია მიიღო ლიუბოეიჩთან. მაგრამ ეს ტური ისევე, როგორც მთელი ტურნირი, ახალგაზრდა ოუკოსლავიისათვის მეტად იღბლიანი აღმოჩნდა. მან მოიგო ეს პარტია. ოთხეულშიც მოხვდა, და ამრიგად კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფრიად ნიჭიერი და პერსპექტიული დიდოსტატია.

ახლა დებიუტების თანახმად პირველ ადგილზე გამოსული ოთხ პარტიის ითამაშებს მეოთხე ადგილზე მყოფთან, ამდენჯერვე შეხვდებიან ერმინჰასთს მეორე და მესამე ადგილებზე გამოსული დიდოსტატები.

გ. გამრეკელი.

მოკლედ

ფეხბურთი. ბუნინ ეორეშეოლოგვრაფში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „ზარიასა“ და ეიელის „დინამოს“ შორის. ანგარიში გახსნა დინამოელმა შენტიანმა, რასაც კუკსოვის სპასუხო ბურთი მოჰყვა — 1:1.

ღღეს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება საერთაშორისო ანსახაგური მატჩი საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ და გდრ-ის ნაკრებს ბუნდებს შორის.

შეხვედრა ტრანსლირებული იქნება ცენტრალური ტელევიზიით 20 ს. და 30 წუთიდან თბილისის დროით.

ჰოკეი. გუშინ მოსკოვში, ცსკა-ს სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონთა თასის მე-9 გათამაშების მეორე ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ამ პრიზის ხუთგზის მფლობელი ცსკა და ჩეხოსლოვაკიის „ტესლა“ (პრაღუბიეკ). შეგახსენებთ, რომ პირველი შეხვედრა პრაღუბიეკში მოგო „ტესლამ“ — 3:2. გუშინდელ მატჩში გაიმარჯვეს არმიელებმა — 6:1 და მეექვსედ მოიპოვეს საპატიო პრიზი.

ქართველ მთამსვლელთა გამარჯვება

დუშანბე, 2 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). საქართველოს მოსამაღლე მთამსვლელებმა, რომლებიც ცენტრალური პამირის მთებში იმყოფებიან, 23-25 აგვისტოს განახორციელეს ასვლა 5.800 მეტრი სიმაღლის უსახელო მწვერვალზე მყინვარ სურგანის სათავეებთან.

„ოლიმპიადა-84“ — თეირანში

თეირანი, 1 სექტემბერი. ხაკდესი. ირანის დედაქალაქი წამოაყენებს თავის კანდიდატურას 1984 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორის როლზე. ეს ნათქვამია ირანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წერილში, რომელიც გაიგზავნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის კილანინის მისამართით.

ჩვენ ვგანცხადებთ, რა ვიცოდეთ

ტელევიზია

3 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.30 — საკავშირო ტელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დონეცკის ვერტიალი“, 11.15 — „ხალხური შემოქმედება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.55 — ეკრანზეა კინოკომედია — ფერადი მხატვრული ფილმი „ორი კუროდღლის მადეკარი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.10 — ბავშვებისათვის სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი ფერადი მხატვრული ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — „განცხადებები, 18.20 — „სატელევიზიო პრესკონფერენცია“ (გამეორებით), 19.00 — „სწავლასა და შრომაში“ — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამე შრომითი სემესტრი, 19.40 — „ყრილობიდან ყრილობამდე“. სტუდიაში — საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გ. აბაშიძე, 20.00 — „შვიდობისა და მეგობრობისათვის ავტიური მებრძოლი“. ფინეთის პრეზიდენტის უ. კეკონენის დაბადების 75 წლისთავის ვაზმ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — საესტრადო კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა 21.30 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში — სსრ კავშირის ოლიმპიური და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. II ტაიმი. (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვერმია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიტყვიერების მასწავლებელი“, 23.30 — საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში „ოქროს რგოლი“. ფერადი გამოსასულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

4 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 12.15 — ბ. კვირნაძე — მუსიკა კინოფილმ „ვანგაშიდან“, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.37 — ი. ფრანკელი — სიმღერები, 12.47 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — მ. მუსორგსკი. — სიმფონიური სუიტა „სურათები ეგზეკვიდან“, 17.15 — ი. ტუსკია — ნაწყვეტები ოპერა „საშობაოდან“, 17.35 — მოსწავლეთათვის „გამარჯობა, ხელოვნებავ!“ — ლეონ ქსენი, 18.05 — კონცერტი ო. თევდორაძის ნაწარმოებებიდან, 18.45 — მუზეუმი საორკესტრო პიესები, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — რ. ვაგნერი — საოპერო მუსიკა, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — მ. გორკი. „ვადგეთ დედა“ — რადიოდრამა, 21.40 — კონცერტი რ. გაბრიაძის ნაწარმოებებიდან, 23.30 — სიმღერები მ. მატიესა და ჟ. ბრელის შესრულებით.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

უკანასკნელი მოჰიკანი

მივიწყებული პროფესიები

ზაქარია ჭიჭინაძე გვაუწყებს: თბილისში „დერეფიები და თერძები იყვნენ მრავლად და აკეთებდნენ ქართველ მამაკაცთა ქულაჯებს, ჩოხებს, ჩერკესკებს და სხვათაც მრავალს“. ნავხედოთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს: „დერეფიკი იგივეა, რაც თერძი“; „თერძი მამაკაცის ტანსაცმლის მკერავია. თერძი კერავდა ქართულ ტანისამოსს: ჩოხას, ქულაჯას, ახალუხს, შარვალს“. სათანადო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საქართველოს დაბა-ქალაქებში თერძ-დერეფიკნი უხვად ისხდნენ და მოსახლეობაც ძირითადად მათი ნახელავით იმოსებოდა. ასე იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე, მერე კი ევროპულმა ტანსაცმელმა იმძლავრა, ზოგი თერძი გაკოტრდა და საქმეს თავი დანება, ზოგიც ახალი მოდის ტანსაცმლის კერას დაეუფლა. თუმცა მეორე მხრივ ფაბრიკული მაუდი რას შეადრეგს! რაც არ უნდა კარგი შალი იყოს, თავი რომ მოიკოკა, ციურს ვერ გაუკეთებ, შინსაქმოვი დიგორული და ონური შალი ისე ციზურდებოდა, თვალით კი არა, გამადიდებელი შუშითაც ვერაფერს შეატყობდი.

ციზური, ბატონო თერძული კერვაა, ახლა რომ საკერავ მანქანას ავარახარახებთ, ნაკერს ნაკერი დაანყობდა, ასე არ იყო უწინ, ჩოხა კვერცხივით უნდა ჩაძოვნილიყო, მაკრატლის და ნემსის განაკრავი არსად უნდა დამჩნეოდა, ეს კი ციზურით კეთდებოდა. ქსოვილი უკუღმა პირით ერთმანეთზე დაგვირისტდებოდა, მერე ზოგმა ამობრუნდებოდა და დარჩენილი ნაზიური ისე ამოიკვესებოდა, არაფერი აღარ ეტყობოდა. იმნაირი ხაო ჭქონდა დიგორულ და ონურ შალს, რომ ციზურს იმშვენებდა, ასლა, ბიძია, ვერ მოგატყუებ, არ კეთდება, კმ, ძნელი? ძნელი და საგანიანო იყო, თუმცა შენი ნახელავი ისე გაგაბარებდა, სულ ყურება გინდოდა. ახლა, ბატონო, გვეჩქარება, ნამტანი გვეჩქარება და საქმე მიფუჩეჩებული გამოგვიდის. ღილკილოო ავიღოთ, თითქოს უბრალოა, მარა მაგალი როვ გამონასკვო, თოთხმეტი ამოყვანა უნდა, ბევრი კაი მკერავია დღეს საქართველოში, ღილკილოს გამონასკვა კი ორმა-სამმაღა თუ იცის.

საკაბე ქსოვილს ბეჭედ ეკერებოდა, ეს ბეჭედი ბეჭედ ეკერებოდა, ეს ბეჭედი ბეჭედ ეკერებოდა, ეს ბეჭედი